ვამტკიცებ
შპს "საქართველოს საერთაშორისო

უნივერსიტეტი ჯიუ"-ს

რექტორი: ე.ელისაშვილი

კონტრაქტორების მიერ სამუშაოს ჩატარების წესი

შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"-ს ტერიტორიაზე

SOP -007

2024 წელი

სარჩევი

1. მიზანი და გამოყენების სფერო 3
2. ნორმატიული მითითებები 3
3. ტერმინთა განმარტება და შემოკლებები 3
4. კონტრაქტორის მიმართ დამკვეთის ზოგადი მოთხოვნები მოიცავს: 4
5. კონტრაქტორის პასუხისმგებლობა 5
6. მოთხოვნები კონტრაქტორ თანამშრომელთა სწავლების და ცოდნის ეფექტურობის კონტროლის შესახ 6
6.2 მოთხოვნები სამუშაოს შესრულების პირობების და შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ 7
6.3 ზოგადი მოთხოვნები დამკვეთის ტერიტორიაზე კონტრაქტორის პერსონალის დაშვების მიმართ 8
6.4 კონტრაქტორის დაშვება სამუშაო ადგილზე 8
6.5 უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს ჩატარების პროცესში 9
6.6 მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მიმართ 10
6.7 პეციალური მოთხოვნები მავნე სამუშაოების ჩატარებისათვის 11
6.8 შემომსაზღვრელი, სასიგნალო ლენტები და გამაფრთხილებელი ნიშნები 12
6.9 ელექტროუსაფრთხოება 12
6.10 მუშაობა ჩაკეტილ სივრცეში 13
6.11. ცეცხლსაშიში სამუშაოები 13
6.12 მაღალი წნევის ქვეშ მყოფი ბალონების გამოყენება 14
6.13 ქიმიკატებთან მუშაობის წესები 14
6.14 მიწის სამუშაოები 15
6.15 მუშაობა მილსადენებზე 15
6.16 ელექტროხელსაწყოების ბლოკირება 16
6.17 მუშაობა სიმაღლეებზე და სრიალა ზედაპირებზე 16
6.18 სამუშაოები ტვირთამწის გამოყენებით 17
6. 2 სანიტარიისა და ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები კონტრაქტორისთვის 17
6.3 დაავადებათა პრევენცია: 18
6.4 მავნებლების კონტროლი. 18
7. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები 19
8. მზადყოფნა საგანგებო სიტუაციების დროს 19
9. პასუხისმგებლობები წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევისათვის 21
ცხრილი 1. 22
10. წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების შესრულების კონტროლი 23
11. შეთანხმების ფორმა 23
12. თანმხლები დოკუმენტები 24
დანართი A. 24
დანართი B. 25
დანართი C 26
დანართი D 27

1. მიზანი და გამოყენების სფერო

1.1 წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია აღწეროს სამუშაო გარემოს უსაფრთხოების ის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც წაეყენება კონტრაქტორს შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"-ს მიერ, რათა მისაღებ დონემდე იყოს შემცირებული მომუშავეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის, გარემოს და ორგანიზაციის საკუთრების დაზიანების რისკი.

1.2 ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა კონტრაქტორის (კონტრაქტორის თანამშრომელთა) მხრიდან ითვლება შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"-ს უსაფრთხოების პირობების დარღვევად. აღნიშნული ფაქტი აძლევს დამკვეთს უფლებას ცალმხრივად შეუწყვიტოს ხელშეკრულება კონტრაქტორს და ამოიღოს ის დაშვებულ კონტრაქტორთა ნუსხიდან.

2. ნორმატიული მითითებები

დებულება შემუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების, ობიექტების და დანადგარების უსაფრთხო ფუნქციონირების ინსტრუქციების, უსაფრთხო შრომის, სანიტარული ჰიგიენის, ჯანმრთელობის და ტექნიკური საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული შემდეგი მოქმედი სტანდარტების საფუძველზე:

- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს კოდექსი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ. მაისი, 2012
- ტექნიკური რისკების კონტროლი. თბილისი. 2010. N 2911 - Ic
- СНиП 12-03-2001 "უსაფრთხოება მშენებლობაში. ნაწილი 1. ძირითადი მოთხოვნები. "
- "სახანძრო უსაფრთხოების წესები". N - 449. 2007. თბილისი, საქართველო
- სხვა დარგობრივი ინსტრუქციები, მათ შორის შრომის დაცვის, ტექნიკური მოწყობილობების უსაფრთხო ფუნქციონირების ნორმების და წესების შესახებ.

3. ტერმინთა განმარტება და შემოკლებები

3.1. წინამდებარე პროცედურაში გამოიყენება შემდეგი ტერმინები:

2.1 კონტრაქტორი - დამკვეთის მიერ მოწვეული იურიდიული, ან ფიზიკური პირი რომელსაც ევალება სამუშაოების (საპროექტო, სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო, საექსპლუატაციო, დასუფთავების, მომსახურების და სხვა) შესრულება დამკვეთის ტერიტორიაზე.

2.2 კონტრაქტორის თანამშრომლები - ნებისმიერი პირი, გამოყენებული კონტრაქტორის მიერ, რომელიც ასრულებს სამუშაოს და კონტრაქტორთან აქვს შრომითი ან სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, ასევე ქვეკონტრაქტორების თანამშრომლები და მათ მიერ დაქირავებული პირები.

2.3 კონტრაქტორის პასუხისმგებელი წარმომადგენელი - პასუხისმგებელი პირი, რომელიც ბრძანებით არის დანიშნული კონტრაქტორის მიერ და გააჩნია დამკვეთის ტერიტორიაზე უსაფრთხო მუშაობის ორგანიზების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

2.4 კონტრაქტორის პასუხისმგებელი პირი შრომის დაცვის საკითხებში - კონტრაქტორის წარმომადგენელი ინჟინერ - ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც დანიშნულია კონტრაქტორის ბრძანებით და პასუხისმგებელია სამუშაო გარემოს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის უზრუნველყოფაზე შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"-ს ტერიტორიაზე სამუშაოების შესრულების დროს.

2.5 სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მოთხოვნები:

2.5.1 ყველა არსებული და მოქმედი მოთხოვნები, წესები შრომის დაცვის, სამრეწველო, სახანძრო უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს სანიტარული პირობების შესახებ, რომელიც რეგლამენტირებულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმებში.

2.5.2 დამკვეთის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, ადგილობრივი ნორმატიული აქტები, შიდა პროცედურები, დამატებითი ინსტრუქციები, ნორმები, შიდა ტექნიკური სტანდარტები უსაფრთხო სამუშაოების ჩატარების შესახებ, რომელიც შემუშავებულია და მოქმედებს დამკვეთის ტერიტორიაზე.

2.6. დამკვეთი - კომპანია შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"-ს

2.7. დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერი - დამკვეთის ინჟინერ-ტექნიკური თანამშრომელი, დანიშნული კონტრაქტორის სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგისათვის.

2.8. ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახური - დამკვეთის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია თანამშრომელთა სამუშაო გარემოს უსაფრთხოების და გარემოს დაცვა.

2.9. PPE - პირადი დაცვის აღჭურვილობა.

2.10. **СНиП** - სანიტარული წესები და ნორმები

2.11. PPB - სახანძრო უსაფრთხოების წესები

2.12. მუშაობის ნებართვა - არის წერილობითი განკარგულება რომელიც განსაზღვრავს კონტრაქტორის მიერ ჩასატარებელი სამუშაოს სახეს, შინაარსს, ადგილს, საფრთხეებს, გარემოებებს, მუშაობის დაწყების და დასრულების დროს, უსაფრთხოების აუცილებელ ზომებს, სამუშაოს შემსრულებლებს და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს.

4. კონტრაქტორის მიმართ დამკვეთის ზოგადი მოთხოვნები მოიცავს:

1) კონტრაქტორებთან მუშაობის პროცესში ფუნქციების, პასუხისმგებლობების და ვალდებულებების განსაზღვრას

2) კონტრაქტორის შერჩევას და დამტკიცებას

3) OSH მოთხოვნებს კონტრაქტორების მიმართ

4) კონტრაქტორების თანამშრომლებთან ურთიერთობას და OSH სწავლებებს

5) კონტრაქტორების კონტროლს
6) მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობებს

5. კონტრაქტორის პასუხისმგებლობა

კონტრაქტორის მართვის ფუნქციები, პასუხისმგებლობის ზონები და ვალდებულებები:

5.1.1 დამკვეთის ტერიტორიაზე მუშაობის შესრულების პერიოდში მკაცრად დაიცვას: საქართველოს შრომის კანონმდებლობის, პერსონალის სამუშაო რეჟიმის, შრომითი კონტრაქტების პირობების, მათი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნები.

5.1.2 დამკვეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებში არ გამოიყენოს 18 წლამდე ასაკის თანამშრომელი.

5.1.3 დაიცვას საკანონმდებლო მოთხოვნები უცხოელი თანამშრომელის დაქირავების შემთხვევაში. ასეთი პერსონალისთვის მუშაობის ნებართვის არარსებობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას საწარმო ტერიტორიაზე მის დაშვებაზე.

5.1.4 დამკვეთის ტერიტორიაზე მავნე და მაღალი საფრთხის ადგილებზე სამუშაოდ გამოიყენოს მხოლოდ ის პირები, ვისაც გავლილი აქვს სამედიცინო შემოწმება და აქვს ექიმის დასკვნა აღნიშნულ სამუშაოზე მისი გამოყენების შესახებ.

5.1.5 მუშაობის დაწყებამდე თავის და სუბ-კონტრაქტორის პერსონალს გააცნოს წინამდებარე პროცედურა ხელმოწერით.

5.1.6 ორგანიზება გაუკეთოს დამკვეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მაღალი საფრთხის მქონე მავნე სამუშაოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

5.1.7 ჰქონდეს ყველა საჭირო დოკუმენტი (ლიცენზია, საქმიანობის ნებართვა და სხვა) მუშაობის წარმოებისთვის.

5.1.8 ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს ჩაუტაროს ყოველკვირეული შეხვედრები სამუშაო გარემოს უსაფრთხოების საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთს მიაწოდოს თათბირის ასლები დამსწრეთა ხელმოწერებით. ასეთ თათბირებს უნდა ესწრებოდეს დამკვეთის პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

5.1.9 კონტრაქტორის წარმომადგენელი, ან ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი უნდა დაესწროს დამკვეთის ყოველთვიურ შეხვედრებს, რომელიც ტარდება სამუშაო გარემოს უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებზე.

5.1.10 ჰქონდეს სათანადოდ დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები თითოეული პროფესიისთვის და ყველა სახის სამუშაოსათვის, სათანადოდ ჩაატაროს უსაფრთხოების ბრიფინგები, შეავსოს ჟურნალი ჩატარებული ბრიფინგების შესახებ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებში. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს დამკვეთის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურისთვის ინსტრუქციების, ბრძანებების და ჟურნალების წარდგენა.

5.1.11 საკანონმდებლო მოთხოვნების და საკუთარი პერსონალის უსაფრთხოების დაცვისათვის უზრუნველყოს ყველა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებით (უსაფრთხოების ფეხსაცმელი, ჩაფხუტი, დამცავი სათვალე, რესპირატორი, სამონტაჟო ქამარი, სმენის დამცავი და სხვა) მათი აღჭურვა. განახორციელოს დაცვის საშუალებების გამოყენების მონიტორინგი და დროულად ჩაანაცვლოს დაზიანებული დამცავი აღჭურვილობა.

5.1.12 შეათანხმოს დამკვეთთან მის ტერიტორიაზე სამშენებლო ვაგონის ან სხვა დროებითი ობიექტების განთავსება და ელექტროგამათბობლების გამოყენება.

5.1.13 სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებისთვის გამოიყენოს გამართული მექანიზმები, დანადგარები, გაზის ბალონები, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები აკმაყოფილებს უსაფრთხო მუშაობის შესრულების პირობებს და პრევენციას უკეთებს უბედურ შემთხვევებს და პერსონალის დაზიანებებს.

5.1.14 აწარმოოს საკუთარი და ქვეკონტრაქტორის მუშაობის დროს მომხდარი ყველა სიმძიმის ინციდენტის, უბედური შემთხვევის დოკუმენტირება/რეპორტირება დამკვეთთან და უზრუნველყოს თვიური ანგარიშის წარდგენა ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ თვის არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა.

5.1.15 ყოველდღიურად, არაუგვიანეს 12:00 სთ-ისა, დამკვეთის წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით ან წერილობით გადასცეს ინფორმაცია თანამშრომელთა დაგეგმილი რაოდენობის შესახებ.

5.1.16 ყოველდღიურად აღრიცხოს თანამშრომელები და საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ჰქონდეს ზუსტი მონაცემები დამკვეთის ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალის რაოდენობის და ადგილმდებარეობის შესახებ.

6. მოთხოვნები კონტრაქტორ თანამშრომელთა სწავლების და ცოდნის ეფექტურობის კონტროლის შესახებ

6.1.1 მუშაობის დაწყებამდე კონტრაქტორი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი უნდა მომზადდეს სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებში.

6.1.2 საშიშ უბანზე მომუშავე კონტრაქტორის ყველა თანამშრომელის ცოდნა უნდა იყოს ატესტირებული/დამოწმებული.

6.1.3 კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომელთა სწავლებების და ტესტირების ოქმები, სერტიფიკატების ასლები,

ატესტაციის დამადასტურებელი ჩანაწერები და უნდა შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში, ამ დოკუმენტების წარდგენა დამკვეთისათვის.

6.1.4 კონტრაქტორის ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს გაცნობითი/შემავალი ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებში და სამუშაო ადგილებზე დაშვებულნი იყვნენ მხოლოდ ის პირები, ვინც წარმატებით უპასუხებენ ტესტის კითხვებს.

6.1.5 ყოველკვირეულად დამკვეთის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომელების მიერ ტარდება კონტრაქტორი ორგანიზაციის პერსონალის ინსტრუქტაჟები.

6.1.6 იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის აუცილებლობა არის დასაბუთებული, შემავალი ინსტრუქტაჟი შეიძლება ჩატარდეს სხვა დროს, დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.

6.1.7 კონტრაქტორი ორგანიზაციის ის თანამშრომლები, რომელთაც არ გაუვლიათ შემავალი ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში, დაიშვებიან დამკვეთის ტერიტორიაზე მხოლოდ დამკვეთის წარმომადგენელის თანხლებით.

6.1.8 კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით სამუშაოს შესასრულებლად მოეთხოვებათ სპეციალური ცოდნა, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სათანადო ლიცენზია, ან სერტიფიკატი (შემდუღებელი, ამწეს-ოპერატორი, მბურღავი და ა.შ.), სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში.

6.2 მოთხოვნები სამუშაოს შესრულების პირობების და შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ

6.2.1 კონტრაქტორმა დამკვეთის ტერიტორიაზე მუშაობის დაწყებამდე დამკვეთს უნდა წარუდგინოს სამუშაოს შემსრულებელი ჯგუფის (ხელმძღვანელი, ჯგუფის უფროსი, მუშა) და სამუშაო გარემოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაოზე დანიშვნის ბრძანებები, კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ასლები.

6.2.2 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორის მიერ აუცილებელია უცხოელის შრომის გამოყენება, რომელიც არ საუბრობს ქართულ ენაზე, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ბრიგადაში ისეთი პირის არსებობა, რომელიც ფლობს როგორც ქართულ, ასევე უცხო ენასაც.

6.2.3 თუ კონტრაქტორის პერსონალის რაოდენობა დამკვეთის ტერიტორიაზე აჭარბებს 50-ს (მათ შორის არის ქვე-კონტრაქტორიც), მაშინ კონტრაქტორის მხრიდან აუცილებელია სამუშაო ადგილზე მუდმივად იმყოფებოდეს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ინჟინერი, რომელსაც აქვს კომპეტენციის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6.2.4 თუ კონტრაქტორის პერსონალის რაოდენობა დამკვეთის ტერიტორიაზე ნაკლებია 50-ზე (მათ შორის არის ქვე-კონტრაქტორიც), მაგრამ ისინი ასრულებენ მავნე სამუშაოს, დამკვეთის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე მუდმივად შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ინჟინერის არსებობა, რომელსაც აქვს კომპეტენციის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6.3 ზოგადი მოთხოვნები დამკვეთის ტერიტორიაზე კონტრაქტორის პერსონალის დაშვების მიმართ

6.3.1. კონტრაქტორის პერსონალის დაშვება დამკვეთის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ "დაშვების რეჟიმის შესაბამისად".

6.3.2 ნებართვის გაცემის საფუძსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუა კონტრაქტორის წერილი-შეკვეთა, შეთანხმებული დამკვეთის პასუხისმგებელ მენეჯერთან და OSH სამსახურთან.

6.3.3 ნებართვების გაცემა ხორციელდება მას შემდეგ, რაც თანამშრომელებს ჩაუტარდებათ შემავალი ინსტრუქტაჟი სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებზე.

6.3.4 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული საჭიროება თანამშრომელის სამუშაოზე დაუყოვნებლივ დაშვებისა, შესაძლებელია ნებართვა გაცემული იქნეს სხვა დროს დამკვეთის პასუხისმგებელ მენეჯერთან შეთანხმებით.

6.3.5 კონტრაქტორების შესვლა დაშვებულია სამუშაოს დაწყებამდე 8:30-დან 9:30-მდე

6.3.5.1 გამოსვლა ნებადართულია ნებისმიერ დროს სამუშაოს გრაფიკის შესაბამისად

6.3.5.2 კონტრაქტორების დამკვეთის ტერიტორიაზე დაშვების გრაფიკი შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა - შეთანხმებული დამკვეთის პასუხისმგებელ მენეჯერთან წერილობითი ფორმით.

6.4 კონტრაქტორის დაშვება სამუშაო ადგილზე

6.4.1 ხელშეკრულებაზე ხელმოწერის და წინასაპროექტო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერი ვალდებულია ორგანიზება გაუკეთოს შეხვედრას კონტრაქტორის პასუხისმგებელ პირსა და დამკვეთის OSH სპეციალისტებს (და სხვა დაინტერესებულ სამსახურებს) შორის.

6.4.2 შეხვედრაზე განიხილება სამუშაოების ჩატარების გეგმა, მუშაობის ნებართვები და ზომები, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის. გეგმა ფორმდება, თანხმდება დამკვეთის და კონტრაქტორის პასუხისმგებელ პირებთან, OSH პერსონალთან და იმ განყოფილების უფროსთან, სადაც ტარდება სამუშაო (აუცილებლობის შემთხვევაში მთავარ ინჟინერთან) და გაიცემა სამუშაოს დაწყებამდე ორ ეგზემპლარად.

6.4.3 გეგმის განხილვა ხდება სამუშაოს დაწყების წინ და სამუშაოების ჩატარების დრო თანხმდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

6.4.4 დამკვეთი ორგანიზაციის რომელიმე განყოფილებაში სამუშაოს ჩატარების დროს კონტრაქტორი ვალდებულია გააფორმოს ყოველდღიური ნებართვა ქვედანაყოფში სამუშაოდ. სამუშაოს დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ ნებართვა წარედგინება ქვედანაყოფის უფროსს შესათანხმებლად.

6.4.5 მაღალი რისკების შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია იხელმძღვანელოს დებულებით მომეტებული საფრთხეების შესახებ და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ.

6.4.6 კონტრაქტორის მიერ დამკვეთის ტერიტორიაზე ამწე მექანიზმების და სხვა ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში სამუშაოებზე იმყოფება დაცვის თანამშრომელი.

6.4.7 ტერიტორიაზე ტვირთამწე მექანიზმების დაშვების საფუძველს წარმოადგენს OSH პერსონალის მიერ მექანიზმის შემოწმება და ხელმოწერა შესაბამის განაცხადზე.

კონტრაქტორმა თავის მხრივ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.4.7.1. ამწე ოპერატორის ოფიციალური სერტიფიკატი - ნებართვა სამუშაოების ჩატარების შესახებ.

6.4.7.2 ტვირთამწეს ჟურნალი.

6.4.7.3 ტვირთამწეს პასპორტში ბოლო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შედეგი ბეჭდით დამოწმებული.

6.4.7.4 ჩასატარებელი სამუშაოების პროექტი წარდგენილი სამუშაოების დაწყებამდე OSH სამსახურისათვის.

6.5 უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს ჩატარების პროცესში

6.5.1. დაიცვას სამუშაო გარემოს სახანძრო უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა

6.5.2 კონტრაქტორის პერსონალის ყოფნა დაშვებულია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სრულდება სამუშაო.

6.5.3 დამკვეთის ტერიტორიაზე გადაადგილების დროს კონტრაქტორმა უნდა დაიცვას მოძრაობის წესები და მიმართულებები. ფეხითმოსიარულენი არ უნდა გადავიდნენ სამანქანო გზებზე. აკრძალულია მოძრაობა საწარმოო შენობის გავლით.

6.5.4 დამკვეთის ტერიტორიაზე შევიდეს მხოლოდ ამისთვის გათვალისწინებული შესასვლელით.

6.5.5 არ გადაკვეთოს კონვეიერული სისტემები იმ ადგილებში, რომელიც არ არის განკუთვნილი გადასასვლელად და არ არის სათანადოდ აღჭურვილი.

6.5.6 მუშაობის დროს შემოსაზღვროს კაბელები და შლანგები. სამუშაოს დასასრულს კაბელი და შლანგი დაახვიოს. არ გადაჭიმოს კაბელები და შლანგები კიბის უჯრედების გასწვრივ.

6.5.7 არ გამოიყენოთ შეკუმშული ჰაერი ტანსაცმელის გასაწმენდად.

6.5.8 დამკვეთის ტერიტორიაზე სამუშაოს შესრულებისას დაიცვას სისუფთავე და წესრიგი.

6.5.9 გაანეიტრალოს დაღვრილი სითხეები იმ ადგილებში, სადაც ისინი დაიღვარა.

6.5.10 სამუშაო დღის ბოლოს და საჭიროებისამებრ წესრიგში მოიყვანოს სამუშაო ადგილი

6.5.11 შეინახოს მასალები ამისთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილზე.

6.5.12 სუფთად შეინახოს კიბის საფეხურები, გასასვლელები, არ ჩახერგოს ისინი მასალებით და ნივთებით.

6.5.13 ნებისმიერი რაოდენობის ნარჩენები, მათ შორის სამშენებლო, იკრიბება კონტრაქტორის მიერ მისივე საშუალებების გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ნაგვის კონტეინერები უნდა განთავსდეს სპეციალურად აღჭურვილ ადგილზე სამუშაო ფართობთან ახლოს. ნაგავი გატანილი უნდა იქნეს კონტეინერის ავსებისთანავე. კონტეინერის განთავსების ადგილი წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული დამკვეთთან.

6.5.15 დამკვეთთან შეთანხმების გარეშე კონტრაქტორს არა აქვს უფლება გამოიყენოს დამკვეთის კუთვნილი დანადგარები, მექანიზმები (სატვირთო ტრანსპორტი), გადასატანი კიბეები, იარაღები და სხვა აღჭურვილობა.

6.5.16 დამკვეთი არ აგებს პასუხს კონტრაქტორის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული სამუშაო იარაღების და აღჭურვილობის ქურდობის, ან დაკარგვის ფაქტზე.

6.5.17 დამკვეთი იტოვებს უფლებას შეამოწმოს ნებისმიერი იარაღი და აღჭურვილობა, რომელსაც იყენებს კონტრაქტორი დამკვეთის ტერიტორიაზე და აღკვეთოს იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

6.6 მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მიმართ

6.6.1 პასუხისმგებლობა თანამშრომლების პერსონალური დაცვის აღჭურვილობით (PPE) უზრუნველყოფაზე აქვს კონტრაქტორს.

6.6.2 მოთხოვნები ძირითადი PPE-ს მიმართ

6.6.3 ძირითადი PPE-ს შეადგენს დამცავი ტანსაცმელი, დამცავი ქუდი მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოებისათვის, რკინისსადებიანი უსაფრთხო ფეხსაცმელი.

6.6.4 ჩაფხუტზე და დამცავ ტანსაცმელზე უნდა იყოს ლოგო კონტრაქტორის სახელის მითითებით.

6.6.4 საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს სპეციალური უსაფრთხოების ფეხსაცმელი, როგორიცაა რეზინის ჩექმები, დამცავები და ა.შ.

6.6.5 თვალების და სახის დამცავი სპეციალური მოწყობილობები

6.6.6 დახურული ტიპის უსაფრთხოების სათვალეები უნდა იყოს გამოყენებული მსხვილი მტვრისაგან და მეტალის ბურღვისას წარმოქმნილი მფრინავი ნაწილაკებიდან, ასევე აგრესიული ხსნარების შხეფებისაგან და პნევმო/ელექტრო ხელსაწყოებთან მუშაობისას თვალის დაცვისათვის.

6.6.7 ასევე თვალის დამცავი სათვალის გამოყენებაა აუცილებელი ლითონის შედუღების, ჭრის და არგონით შედუღების სამუშაოების დროს.

6.6.8 სახის დამცავი ფარის გამოყენება აუცილებელია ისეთი სამუშაოების მიმდინარეობის დროს, როცა ხდება საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და ყველა სამუშაოს დროს, როცა არსებობს სახის დაზიანების რისკი.

6.6.9 კონტრაქტორის მიერ ხელთათმანების გამოყენების მოთხოვნები

6.6.9.1 ხელთათმანები უნდა იყოს გამოყენებული ბასრ და ხის ნივთებთან (კაბელები, მეტალის ნივთები, ხის პალეტები) მუშაობისას.

6.6.9.2 მავნე/საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან, ცხელ ზედაპირიან, მაღალი ძაბვის ქვეშ მყოფ დანადგარებთან და სხვა პოტენციურად საშიშ სამუშაობის ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ტიპის ხელთათმანები (ქიმიურად მდგრადი, დიელექტრული, ლატექსის და სხვ.)

6.6.10 მოთხოვნები სიმაღლეზე მუშაობის დროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიმართ

6.6.10.1 კონტრაქტორის პერსონალისთვის, რომელიც ასრულებს სამუშაოებს სიმაღლეზე, სავალდებულო მოთხოვნაა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

6.6.10.2 ვარდნისაგან დაცვის ყველა საშუალება (ქამარი, დაზღვევის ბაგირები და სხვ) უნდა მოწმდებოდეს მინიმუმ 6 თვეში ერთხელ.

6.6.11 სმენის ორგანოების დაცვა

6.6.11.1 სამუშაო ადგილები, სადაც ფიქსირდება მომეტებული ხმაური, იდენტიფიცირებული უნდა იყოს პიქტოგრამით და ასეთ ადგილზე უნდა იქნეს გამოყენებული სმენის დამცავი საშუალება.

6.6.12 სასუნთქი ორგანოების დაცვა

6.6.12.1 რესპირატორები უნდა იქნეს გამოყენებული ყველა მტვრიან ადგილზე, ან სამუშაოების დროს, რომელიც წარმოქმნის მტვერს

6.6.12.2 აირებისაგან, ორთქლისა და მავნე აეროზოლებთან მუშაობისას სასუნთქი გზების დასაცავად აუცილებელია სახის ფილტრიანი ნიღაბის გამოყენება დაცვის საჭირო ხარისხის შესაბამისად.

6.7 პეციალური მოთხოვნები მავნე სამუშაოების ჩატარებისათვის

6.7.1 მავნე/მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაოებს მიეკუთვნება:

6.7.1.1 მუშაობა ჩაკეტილ სივრცეში

6.7.1.2 ცეცხლთან მუშაობა

6.7.1.3 ქიმიკატებთან მუშაობა

6.7.1.4 სიმაღლეზე მუშაობა

6.7.1.5 სახურავზე მუშაობა

6.7.1.6 დანადგარებსა და მილგაყვანილობებში შესვლა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება

6.7.1.7 ამწე მექანიზმების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით მიმდინარე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები

6.7.1.8 მიწის სამუშაოები

6.7.1.9 ელექტროდანადგარებთან მიმდინარე სამუშაოები

6.7.1.10 შენობის დანგრევის/დემონტაჟის, ასევე ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები

6.7.2 ყველა მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაო უნდა შესრულდეს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

6.7.3 მომეტებული საფრთხის/მავნე სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის გაცემის შემდეგ.

6.7.4 ასეთი სამუშაოების ჩატარება უნდა შეთანხმდეს იმ განყოფილების უფროსთან, სადაც უნდა ჩატარდეს ეს მავნე სამუშაო. კონტრაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ დამკვეთმა შეუქმნა მას მუშაობის ყველა პირობა, მათ შორის, ელექტროენერგიის დამორთვა, მილგაყვანილობის გადაკეტვა, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.

6.8 შემომსაზღვრელი, სასიგნალო ლენტები და გამაფრთხილებელი ნიშნები

6.8.1 უნდა იქნეს გამოყენებული იმ ადამიანების გასაფრთხილებლად, რომლებიც მუშაობენ მომეტებული საფრთხის მქონე ადგილებში, ან მიმდებარე ზონებში.

6.8.2 იქ, სადაც მიმდინარეობს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და სადაც არის ობიექტების ვარდნისა და მბრუნავი მექანიზმების საშიშროება.

6.8.3 გამაფრთხილებელი ნიშნები უნდა იყოს და ბარიერები და შემოსაზღვრავდეს ღრმა ორმოებს მიწაზე, ჭებს.

6.8.4 შემოსაზღვრა, სასიგნალო ლენტები და გამაფრთხილებელი ნიშნები უნდა მოიხსნას მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდა, რომ სამუშაოები დასრულდა და ადამიანებისათვის საფრთხე აღარ არსებობს.

6.8.5 კონტრაქტორი ვალდებულია ყოველდღიურად დარწმუნდეს, რომ სამუშაო ადგილზე შენარჩუნებულია სათანადო შემოსაზღვრა, სასიგნალო ლენტები და გამაფრთხილებელი ნიშნები.

6.9 ელექტროუსაფრთხოება

6.9.1 ელექტროტექნიკური სამუშაოების ჩატარება დამკვეთის ტერიტორიაზე შეუძლია მხოლოდ იმ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ლიცენზია.

6.9.2 დამკვეთის ტერიტორიაზე ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისათვის დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელიც ფლობს ელექტროუსაფრთხოების საკვალიფიკაციო მოწმობას.

6.9.3 სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო, ელექტროდანადგარების გამოცდა-გაზომვის სამუშაოები უნდა ჩატარდეს ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.

6.9.4 კონტრაქტორის ელექტროტექნიკურმა პერსონალმა დადგენილი პერიოდულობით უნდა გაიაროს პროფესიული სწავლება.

6.9.4.1 სამუშაოს დაწყების წინ კონტრაქტორმა უნდა წარადგინოს:

ა) დამკვეთის ტერიტორიაზე სამუშაოს ჩატარებისთვის საჭირო ელექტროტექნიკური პერსონალის ჩამონათვალი (თავისი ორგანიზაციის ბლანკზე)

ბ) ელექტროტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

გ) დამკვეთის ტერიტორიაზე ელექტროუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

6.9.4.3 ყველა ელექტროხელსაწყო, რომელსაც კონტრაქტორი დამკვეთის ტერიტორიაზე გამოიყენებს უნდა იყოს ქარხნული წარმოების და შემოწმებული დამკვეთის მიერ.

6.9.4.4 კონტრაქტორის პერსონალი უნდა ამოწმებდეს ელექტროდანადგარების გამართულობას და დამიწებას განსაკუთრების სველ და ნესტიან გარემოში მუშაობის დროს.

6.10 მუშაობა ჩაკეტილ სივრცეში

6.10.1 ჩაკეტილი სივრცეა - ნებისმიერი სივრცე, რომელშიც სრულად ეტევა ადამიანი.

ა) გააჩნია შემოსაზღვრული ან ვიწრო შესასვლელი/გამოსასვლელი.

ბ) არ არის გათვლილი შიგ ადამიანის ხანგრძლივად ყოფნისთვის.

6.10.2 ჩაკეტილ სივრცეს მიეკუთვნება ბუნკერი, მილსადენი, ჭა, ცისტერნა, რეზერვუარი, სადაც არსებობს ჟანგბადის ნაკლებობის, ფეთქებადსაშიში, ან მავნე აირების დაგროვების საფრთხე.

6.10.3 ჩაკეტილ სივრცეში მუშაობისათვის აუცილებელია გაცემული იყოს წერილობითი ნებართვა.

6.10.4 ჩაკეტილ სივრცეში მუშაობის დროს გამანათებელი ხელსაწყოს ძაბვაა არაუმეტეს 12 ვ.

6.11. ცეცხლსაშიში სამუშაოები

6.11.1 ცეცხლსაშიშ სამუშაოს მიეკუთვნება ღია ცეცხლის, ნაპერწკალის წარმომშობი, მასალების აალების ტემპერატურამდე გახურების სამუშაოები, მაგ: ელექტროშედუღება, აირშედუღება, ბენზოჭრა, ლითონის მექანიკური დამუშავება და სხვ.

6.11.2 ასეთი სამუშაოების ჩატარება აუცილებელია „სახანძრო უსაფრთხოების წესების" N - 370. შესაბამისად. ცეცხლსაშიში სამუშაოების დაწყების წინ ფორმდება ნებართვა.

6.11.3 მოწყობილობები ასეთი სამუშაოების ჩატარებისათვის, მათ შორის, გაზის ბალონების ონკანები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.

6.11.4 ცეცხლსაშიში სამუშაოებისათვის გამოყენებულ ხელსაწყოს უნდა ჰქონდეს დაუზიანებელი კაბელი და დამცავი ხუფი ნაპერწკლის გაბნევის პრევენციისთვის.

6.12 მაღალი წნევის ქვეშ მყოფი ბალონების გამოყენება

6.12.1 გაზის ბალონების ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს შესაბამისი პირობების დაცვით

6.12.2 ბალონების მომსახურე მუშებს ჩატარებული უნდა ჰქონდეთ ინსტრუქცია.

6.12.3 ჟანგბადის ბალონები უნდა ინახებოდეს წვადი გაზებისაგან (აცეტილენი, პროპანი) არანაკლებ 5 მეტრით დაცილებულ მანძილზე.

6.12.4 გაზის ბალონები უნდა ინახებოდეს როგორც სპეციალურ დახურულ, ისე ღია სათავსოში მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექებისაგან დაცულ ადგილზე.

6.12.5 ჟანგბადის ბალონების და წვადი აირების ერთ სათავსოში დასაწყობება არ შეიძლება.

6.12.6 შენობაში დასაწყობებული გაზის ბალონები მოცილებული უნდა იყოს: არანაკლებ 1 მეტრით გამათბობელი რადიატორების, გათბობის სხვა ხელსაწყოების და ღუმელებისაგან და არანაკლებ 5 მეტრით სითბოს წყაროებისა და ღია ცეცხლისაგან.

6.12.7 სავსე ბალონები "ბაშმაკით" (ზემოდან ჩამოსაცმელი) უნდა ინახებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში. წაქცევისაგან დაცვის მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ბუდე, ბადე, ან ბარიერი.

6.12.8 ბალონები, რომლებსაც არ აქვს "ბაშმაკი" შეიძლება ინახებოდეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ხის ჩარჩოებზე, ან თაროებზე. ღია მოედნებზე შენახვისას დაშვებულია ბალონების შენახვა შტაბელებად ხის, ან რეზინის სადებების გამოყენებით. შტაბელის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს. ბალონის ონკანები უნდა იყოს მიმართული ცალ მხარეს.

6.12.9 სავსე ბალონების გადატანა უნდა მოხდეს რესორიანი ტრანსპორტით, ან ავტო-ამწით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აუცილებლად სადებებით ბალონებს შორის. სადებად შეიძლება გამოყენებული იყოს ხის ტოტის, ან რეზინის რგოლი სისქით არანაკლები 25 მმ (ბალონის ორ ბოლოზე) ან სხვა სადები, რომელიც დაიცავს ბალონებს ერთმანეთზე დარტყმისაგან. ყველა ბალონის ონკანი გადატანის დროს უნდა იყოს მოქცეული ცალ მხარეს.

6.12.10 დამცავ ჩაჩიანი ონკანის ყელზე ფოლადის რგოლი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.

6.12.12 ბალონები შეფერილი უნდა იყოს საკანონმდებლო ნორმატივების შესაბამისად.

6.13 ქიმიკატებთან მუშაობის წესები

6.13.1 მავნე ქიმიკატთან მუშაობის დროს დაცული უნდა იყოს ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმები.

6.13.2 ნებისმიერი სამუშაო, რომელიც ეხება ქიმიურ ნივთიერებას უნდა შესრულდეს ნებართვის გაცემის შემდეგ.

6.13.3 ქიმიკატთან მუშაობის ქვეშ იგულისხმება:

ა) ქიმიურ დანადგარებთან/მოწყობილობასთან/მილგაყვანილობასთან მუშაობა, რემონტი, და დასუფთავება

ბ) ქიმიურ მოწყობილობებში ნაერთების შეცვლა

გ) ტექნოლოგიური ქიმიური ნაერთების შერევა

დ)დასუფთავება ქიმიკატის გამოყენებით

ე) იმ დანადგარების გახსნა, რომელშიც არის ქიმიკატი

ვ) იმ დანადგარების გახსნა, რემონტი და ჰაერის შებერვით გაშრობა, რომლებიც შეიცავენ ჟანგბადს

ზ) ქიმიკატის ნიმუშის აღება

თ)არასაწარმოო დანიშნულების ქიმიკატის გამოყენება და შენახვა

ი)ახალი ქიმიკატის გამოყენება წარმოებაში

კ) ქიმიკატის ტრანსპორტირება

ლ) ქიმიკატის ნარჩენების მოცილება და გადამუშავება

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს დამკვეთის ტერიტორიაზე მის მიერ გამოყენებული ყველა ქიმიკატის MSDS.

6.14 მიწის სამუშაოები

6.14.1 მიწის სამუშაოების ჩატარების დროს გაფორმებული უნდა იყოს დაშვება, ხოლო კომუნიკაციების ახლოს სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ამ კომუნიკაციით მოსარგებლე ორგანიზაციის წერილობითი ნებართვა

6.14.2 სამუშაო დღის დასრულებისას, თუ სამუშაო არ არის დასრულებული, აუცილებელია დაიხუროს, ან შემოიზღუდოს საშიში ადგილები. ბნელ ადგილებზე უნდა განთავსდეს სასიგნალო მინიშნება.

6.15 მუშაობა მილსადენებზე

6.15.1 კონტრაქტორის პერსონალი უნდა გაეცნოს იმ მილსადენების ადგილმდებარეობას და მარკირებას, რომელშიც, ან რომლის მახლობლადაც მათ მუშაობა მოუწევთ.

6.15.2 თუ კონტრაქტორის თანამშრომლებს არ აქვთ ინფორმაცია მილსადენის ტიპის შესახებ, მაშინ სანამ დაიწყება მუშაობა, მათ უნდა მოსთხოვონ ეს ინფორმაცია ხელმძღვანელს.

6.15.3 სარემონტო ორთქლის, კონდენსატის და ცხელი პროდუქტის მილსადენების გახსნა უნდა განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტის ყველა მოთხოვნის შესაბამისად.

6.15.4 ორთქლის, კონდენსატის, ასევე საშიში ქიმიური ნივთიერებების და ცხელი თხევადი პროდუქტის მილგაყვანილობაზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მისი გადაკეტვის და დაბლოკვის შემდეგ.

6.16 ელექტროხელსაწყოების ბლოკირება

6.16.1 მბრუნავ, ელექტრო, პნევმატურ, ჰიდრავლიკურ, ორთქლის, მაღალი ძაბვის, ასევე, სიმძიმის ძალის, ინერციით, წინააღმდეგობის ძალით მომუშავე დანადგარებსა და მოწყობილობებზე მუშაობა შეიძლება დაწყებული იქნეს მხოლოდ ენერგიის წყაროს გადაკეტვის შემდეგ.

6.16.2 ელექტროწყაროდან დანადგარების გამორთვას ახორციელებს დამკვეთის ენერგეტიკული სამსახურის პერსონალი

6.16.3 შეკეთებულ აღჭურვილობაზე ძაბვის მიწოდებას აწარმოებს დამკვეთის ელექტრო-ტექნიკური პერსონალი იმ განყოფილების უფროსთან შეთანხმებით, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები.

6.17 მუშაობა სიმაღლეებზე და სრიალა ზედაპირებზე

6.17.1 კონტრაქტორის პერსონალი სიმაღლეზე მუშაობის დროს უნდა იცავდეს წინამდებარე დებულების მიხედვით განსაზღვრულ წესებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ.

6.17.2 სიმაღლიდან ვარდნისაგან დაცვის სისტემა ნიშნავს სხეულის უსაფრთხოების დაცვის საშუალებების, მათ შორის ვარდნისგან დაზღვევის ქამრის, მისი დამაგრების ადგილის და სამონტაჟო ადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფას შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც მუშაობა სრულდება მიწის ზედაპირიდან 1.3 მ სიმაღლეზე კიბეებზე / ხარაჩოებზე ან პლატფორმაზე;

ბ) არაუმეტეს 2 მეტრის დაშორებით შემოუსაზღვრავი ზედაპირებიდან 1.3 მ-ზე მეტ სიმაღლეზე.

გ) მოწყობილობებსა და დანადგარებზე მუშაობა 1.3 მ ან მეტ სიმაღლეზე, მათ შორის სატვირთო მანქანებსა და სატვირთო ვაგონებზე.

6.17.3 სიმაღლეზე ნებისმიერი სამუშაო მოითხოვს წინასწარი რისკის შეფასებას.

6.17.4 კიბეების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მსუბუქი და ხანმოკლე სამუშაოებისთვის.

6.17.5 ნებისმიერი სამუშაოს რისკი, რომელიც ითვალისწინებს იატაკზე ორმოს გაკეთებას (მაგ. დანადგარის დამონტაჟებისათვის), უნდა შეფასდეს და სამუშაოები დაიგეგმოს წინასწარ.

6.17.6 იატაკზე 20 სმ-ზე მეტი დიამეტრის ღრუ/ორმო საიმედოდ უნდა დახუროს და აღინიშნოს უსაფრთხოების ნიშნებით

6.17.7 საფარი (ან სხვა მოწყობილობა), რომელიც გამოიყენება იატაკზე ორმოს დახურვისთვის, უნდა იყოს დაფიქსირებული მყარად, რომ ძნელი იყოს მისი მოხსნა ან გადაადგილება.

6.17.8 ასეთი ორმოს დახურვა არ შეიძლება ხელთ მოხვედრილი შემთხვევითი მასალებით (მუყაო, დაფა).

6.17.9 როდესაც იგეგმება სახურავზე ელემენტების მოხსნა, შეცვლა, ან სხვა საქმიანობა, სადაც არსებობს ხვრელებში ჩავარდნის რისკი, საკმარისი არ არის მხოლოდ უსაფრთხოების ქამრის გამოყენება. საჭიროა კოლექტიური საშუალების გამოყენება (მაგ. მოაჯირი, დამჭერი ბადე).

6.18 სამუშაოები ტვირთამწის გამოყენებით

6.18.1 ტვირთამწე მექანიზმების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

6.18.2 ამწეს გამოყენებით მუშაობა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებიდან 30 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებულ ადგილებზე დაშვებულია მხოლოდ ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირის წერილობითი ნებართვით. ელექტროგადამცემი ხაზების მახლობლად სამუშაოების ჩატარებას უნდა ესწრებოდეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

6.18.3 სამუშაოებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ნებადართული დანადგარი, რომელსაც ჩატარებული აქვს ტექნიკური დათვალიერება.

6.18.3 ამწე უზრუნველყოფილი უნდა იყოს რკინის სანიშნით, რომელზეც მითითებული იქნება ამწეს მარკა, ტვირთამწეობა, ტექნიკური დათვალიერების თარიღი, ფირმა, რომელმაც ჩაატარა შემოწმება.

6.18.4 ამწეები უნდა იყოს აღჭურვილი საგანგაშო სიტუაციის დროს ფუნქციონირების უსაფრთხოდ შეწყვეტის ავტომატური სისტემით.

6.18.5 ტვირთამწე სამუშაოებზე დაიშვებიან მხოლოდ სპეციალურად მომზადებული ის პირები, რომელთაც გააჩნიათ კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

6. 2 სანიტარიისა და ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები კონტრაქტორისთვის

6.2.1 მოთხოვნები ტანსაცმელის მიმართ:

6.2.2 სუფთა ზონაში სპეციალური ტანსაცმელის/უნიფორმის გარეშე შესვლა აკრძალულია.

6.2.3 სამუშაო ტანსაცმელი უნდა იყოს სუფთა, კარგ მდგომარეობაში (ანუ კარგად დამაგრებული ჯიბეებით, ღილებით, ბალთებით).

6.2.4 ტანსაცმელი არ უნდა იყოს შენახული საწარმოო ზონაში.

6.2.5 შემკვეთის ტერიტორიაზე "შორტებით" ყოფნა აკრძალულია.

6.2.6 სუფთა ზონებში აუცილებელია თმის დაფარვა ქუდით, ან თმის ბადით.

6.2.7 სუფთა ზონებში აკრძალულია სამკაულების (მათ შორის საქორწინო ბეჭდების, საათების და სხვ.) ტარება.

6.2.8 სუფთა ზონებში აკრძალულია ხელოვნური ფრჩხილებით შესვლა. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებული უნდა იყოს ხელთათმანები.

6.2.9 სუფთა ზონებში ღია ჯიბეები უნდა დაიხუროს შესაკრავებით.

6.2.10 კონტრაქტორი ორგანიზაციის პერსონალმა უნდა დაიცვას ჰიგიენის მოთხოვნები და აუცილებლად დაიბანოს ხელები:

6.2.10.1 მუშაოების დაწყების წინ.

6.2.10.2 დასუფთავების ოპერაციების შემდეგ.

6.2.10.3 სან-კვანძით სარგებლობის შემდეგ.

6.2.10.4 ჭამის წინ და შემდეგ, მოწევის შემდეგ.

6.2.11 ჭამა-სმის წესები კონტრაქტორისთვის

6.2.11.1 ტერიტორიაზე საკვები პროდუქტის შეტანა აკრძალულია.

6.2.11.2 ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი ადგილისა და სასადილოსი, აკრძალულია ჭამა, სმა, საღეჭი რეზინის გამოყენება.

6.3 დაავადებათა პრევენცია:

6.3.1 კონტრაქტორის თანამშრომლები სიმპტომებით: დიარეა, ღებინება, სიყვითლე და სხვა ინფექციური დაავადებები, ასევე თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ ღია კანის ინფიცირებული ჭრილობები არ დაიშვებიან მაღალი რისკის ადგილებში სამუშაოდ.

6.3.2 მცირე ჭრილობები და გაღიზიანებული ადგილები კანზე უნდა დაიხუროს სტერილური პლასტირით. სავალდებულოა დამცავი ხელთათმანის გამოყენება.

6.3.3 საკვები პროდუქტებით მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში პერსონალმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს სამუშაო ადგილი და მოახსენოს ამის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს და დამკვეთის პასუხისმგებელ პირს.

6.3.4 სამუშაო ქცევის წესები:

6.3.4.3 რეზერვუარში, კონტეინერის შიგნით მუშაობის დასრულების შემდეგ ყველა შიდა ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ნამსხვრევების და ნარჩენების უცხო ობიექტებისაგან.

6.3.4.4 სამუშაოს დასრულების შემდეგ კონტრაქტორმა უნდა გაიტანოს იარაღები და ნარჩენი.

6.3.4.5 გაიტანოს დროებითი გასახდელები და მობილური შენობები (მაგ. ვაგონი).

6.3.4.6 გასახდელში უნდა დამონტაჟდეს ინდივიდუალური კარადები სუფთა ტანსაცმელისთვის. კარადები უნდა იყოს სუფთა.

6.3.4.7 კარადებში საკვების, ჭუჭყიანი ტანსაცმელის შენახვა აკრძალულია.

6.3.4.8 ნებისმიერი ნივთის დაკარგვის (კალმები, დანადგარის ნაწილები, აღჭურვილობა, იარაღები და ა.შ.) შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პასუხისმგებელ პირს და განყოფილების უფროსს, სადაც დაკარგვა მოხდა.

6.4 მავნებლების კონტროლი.

6.4.1 არ შეიძლება მღრღნელებისათვის განკუთვნილი კონტეინერების გადაადგილება დანიშნული ადგილებიდან.

6.4.2 აკრძალულია ცხოველების (ძაღლი, კატა და სხვა) შემოყვანა. აკრძალულია ცხოველების გამოკვება მიმდებარე ტერიტორიაზე.

7. სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

7.1 ყველა სამუშაო, განხორციელებული კონტრაქტორის მიერ დამკვეთის ტერიტორიაზე, უნდა ჩატარდეს „სახანძრო უსაფრთხოების წესების" მკაცრად დაცვით.

7.1.1 აკრძალულია დამკვეთის საწარმოო და სასაწყობო ტერიტორიაზე ბენზინის, ნავთის, სპირტის, ნიტრო-საღებავის, გამხსნელების და სხვა აალებადი მასალების შენახვა, გარდა დღიური მარაგის მცირე რაოდენობისა. ამ მასალების შენახვის საცავები და მათი რაოდენობა, ასევე, შენახვის მეთოდი შეთანხმებული უნდა იყოს განყოფილების უფროსთან, სახანძრო უსაფრთაოებაზე და სამუშაოების ორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირებთან.

7.1.2 დეპარტამენტის უფროსი, სადაც კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს მუშაობა, ვალდებულია გააცნოს კონტრაქტორს ცეცხლმაქრების და საავარიო ღილაკების ადგილმდებარეობა.

7.2 მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიმართ

7.2.1 სატრანსპორტო საშუალებების მძღოლმა უნდა დაიცვას დადგენილი მარშრუტი, შეასრულოს საგზაო ნიშნების და უსაფრთხო მოძრაობის წესები.

7.2.3 მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე დამკვეთის ტერიტორიაზე არის 10 კმ/სთ, საწარმოო შენობებში კი 5 კმ / სთ.

7.2.4 ა/მანქანის მართვა დასაშვებია მხოლოდ კვალიფიციური კადრებისათვის, რომელთან აქვთ ამ ტიპის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება და ჩატარებული აქვს სამედიცინო შემოწმება. სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს ტექნიკური შემოწმების დადასტურების ლიცენზია / სერთიფიკატი.

7.2.5 კონტრაქტორების ავტომანქანების პარკირება დამკვეთის შიდა ტერიტორიაზე აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმდინარეობს მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

7.2.6 საჭიროების შემთხვევაში, სატვირთოს სახურავზე სამუშაოების ჩატარებისას კონტრაქტორის პერსონალმა უნდა გამოიყენოს ვარდნისაგან დამცავი ინდივიდუალური აღჭურვილობა.

7.2.7 დამკვეთის ტერიტორიაზე ა/მანქანაში მოწევა აკრძალულია.

8. მზადყოფნა საგანგებო სიტუაციების დროს

8.1 კონტრაქტორის თანამშრომლები უნდა იცნობდნენ დამკვეთის საგანგებო სიტუაციების პროცედურას და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებდნენ დადგენილი წესით. მათ უნდა ისარგებლონ სპეციალურად შემუშავებული საევაკუაციო-მარშრუტებით.

8.2 კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურს:

8.2.1 თითოეული უბედური შემთხვევის შესახებ, მიუხედავად ამ შემთხვევის სიმძიმისა.

8.2.2 პოტენციურად საშიში სიტუაციების არსებობის ან წარმოშობის შესახებ.

8.2.3 აალების / კვამლის დეტექტორის ამუშავების / ხანძრის შესახებ.

8.2.4 გარემოს დაბინძურების შესახებ ქიმიკატების, ზეთების და ა.შ. დაღვრის/გაჟონვის გამო.

8.2.5 საკუთრების დაზიანების შესახებ.

8.3 უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია:

8.3.1 დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერის ინფორმირება.

8.3.2 ექიმის გამოძახება და მისი მოსვლის დალოდება. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა დაზიანებულისათვის.

8.3.3 გადაუდებელი ზომების მიღება, რათა აღიკვეთოს ტრავმული ზემოქმედების ფაქტორი სხვების მიმართ.

8.3.4 სანამ გამოძიება დაიწყება, გარემოს შენარჩუნება, როგორც ეს იყო ინციდენტის დროს (თუ ეს არ წარმოადგენს საფრთხეს სხვების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ). გარემოს შენარჩუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი დააფიქსიროს არსებული სიტუაცია სქემებით და ფოტო-მასალით.

8.3.5 ორგანიზება გაუკეთოს ინციდენტის გამოძიებას.

8.4 წინასწარი ანგარიშები შეადგინოს უბედური შემთხვევის და ქონების დაზიანების შესახებ და წარუდგინოს დამკვეთს ინციდენტიდან 24 საათის განმავლობაში.

8.5 უბედური შემთხვევის საფრთხის წარმოქმნისას მიიღოს ზომები პრევენციისთვის (დანადგარის შეჩერება, წნევის გამორთვა, ნივთიერებათა მიწოდების შეჩერება, საშიში ზონის შემოსაზღვრა ბარიერით და სხვ.) მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელს.

8.6 ხანძრის შემთხვევაში კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროს პროცესი, შესაძლებლობისამებრ მოაცილოს წვადი მასალები საშიშ ადგილს, პირველადი საშუალებებით მოახდინოს ხანძრის ჩაქრობა, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესები, გამოიძახოს სახანძრო დახმარების ბრიგადა და გადასცეს ინფორმაცია სამუშაოზე პასუხისმგებელ მენეჯერს და განყოფილების უფროსს.

8.7 კონტრაქტორს აქვს პასუხისმგებლობა ზიანზე, რომელიც მიადგა პერსონალს, გარემოს, საკუთრებას. კონტრაქტორის და სუბ-კონტრაქტორის პერსონალის დაზიანებაზე დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას.

8.8 კონტრაქტორ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ხანძრის პირველადი ჩაქრობის საკუთარი საშუალებები.

8.9 ავარიული სიტუაციის გამოვლენისას კონტრაქტორის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ვალდებულია ორგანიზება გაუკეთოს თავისი პერსონალის ევაკუაციას თავშეყრის ადგილზე, დამკვეთის პასუხისმგებელ მენეჯერს მიაწოდოს ინფორმაცია ტრავმირებული პერსონალის

რაოდენობის შესახებ და ა.შ. კონტრაქტორის პერსონალს არა აქვს უფლება დატოვოს დამკვეთის ტერიტორია დამკვეთის ავტორიზებული პირის ნებართვის გარეშე.

8.10 ცეცხლმაქრებთან, ავარიულ გასასვლელებთან, ავარიულ ღილაკებთან მისასვლელი გზები ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი.

9. პასუხისმგებლობები წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევისათვის

9.1 პასუხისმგებლობა დამკვეთის ტერიტორიაზე საწარმოო უსაფრთხოების დაცვაზე აქვთ კონტრაქტორის თანამშრომელებს.

9.2 კონტრაქტორის პერსონალი სამუდამოდ კარგავს დამკვეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას შემდეგ შემთხვევებში:

9.2.1 სპირტიანი სასმელების გამოყენებისათვის სამუშაო ადგილზე, ან დამკვეთის ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში, ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ გამოცხადებისათვის.

9.2.2 სიგარეტის მოწევისათვის აკრძალულ ადგილებზე.

9.2.3 დამკვეთის საკუთრების მითვისებისათვის.

9.2.4 სიმაღლეზე მუშაობისას (2 მ-ზე ზემოთ) ვარდნისაგან დაცვის საშუალების გარეშე.

9.2.5 მომეტებული საფრთხის სამუშაოს (ცეცხლთან, ჩაკეტილ სივრცეში, მავნე ქიმიკატებთან, მიწის სამუშაოებზე, ელექტროდანადგარებთან, ამწე-მექანიზმებთან, სიმაღლეზე) ჩატარება გაფორმებული და დამტკიცებული ნებართვის გარეშე.

9.2.6 სატრანსპორტო და სატვირთო სამუშაოების ჩატარება პერსონალის მიერ, რომლებიც არ ფლობენ შესაბამის კომპატენციას და დოკუმენტირებულ დაშვებას ამ სამუშაოზე.

9.2.7 დამკვეთის ტერიტორიაზე ხულიგნური საქციელის შემთხვევაში.

9.2.8 კონტრაქტორის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი (სამუშაოს პასუხისმგებელი შემსრულებლები) კარგავენ დამკვეთის ტერიტორიაზე დაშვების უფლებას:

9.2.9 იმ დარღვევებისთვის, რომელიც ჩამოთვლილია წინამდებარე ინსტრუქციის 6.2 პუნქტში.

9.2.10 სამუშაოს ორგანიზებისათვის, რომელიც არ შეესაბამება შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

9.3. წინამდებარე ინსტრუქციის დებულებების შეუსრულებლობისათვის, ან დამკვეთის მხრიდან უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნაზე არადროული რეაგირებისათვის (ერთი სამუშაო დღის განმავლობაში). კონტრაქტორი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, ცხრილი 1-ის მიხედვით. ჯარიმა გადახდილი უნდა იყოს 7 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი მოთხოვნის შემდეგ. დამკვეთი უფლებამოსილია კონტრაქტორს ცალმხრივად გამოუქვითოს ჯარიმის თანხა ჩატარებული და ჩაბარებული სამუშაოების ღირებულებიდან.

ცხრილი 1.

დარღვევის სახე	ჯარიმის რაოდენობა
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ჩაკეტილ სივრცეში მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა სიმაღლეზე, სრიალა ზედაპირებზე და სახურავზე მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ტექნოლოგიურ მილგაყვანილობაზე მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ამწე სატვირთო მექანიზმებით დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ელექტროდანადგარებზე მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ცეცხლის და დაწნეხილ გაზიანი ბალონებით მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ქიმიკატებთან მუშაობის მიმართ	
უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა მიწის სამუშაოების მიმართ	
სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა	
ელექტროხელსაწყოებთან მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა	
სანიტარულ ჰიგიენური მოთხოვნების დარღვევა	
უსაფრთხო მოძრაობის მიმართ მოთხოვნების დარღვევა მძღოლების მიერ	
საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის მოთხოვნების დარღვევა	
ყოველთვიურ შეკრებებში მონაწილეობის ვალდებულების, პერსონალის რაოდენობის მიმართ მოთხოვნების დარღვევა სამუშაო ადგილებზე	
შრომის უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის სწავლებების მიმართ მოთხოვნების დარღვევა	
სამუშაოთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელის და შრომის დაცვის საკითხებში კონტრაქტორის წარმომადგენელის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დარღვევა	
შრომითი დისციპლინის ზოგადი მოთხოვნების დარღვევა	
ბარიერების, გამაფრთხილებელი ნიშნების და სასიგნალო ლენტების გამოყენებაზე მოთხოვნების დარღვევა	
ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე მოთხოვნების დარღვევა	

9.4 წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების ხელმეორედ შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტრაქტორის მხრიდან, რასაც მოჰყვა კონტრაქტორის, დამკვეთის პერსონალის, ან მესამე პირის დაზიანება და /ან სიკვდილი, დამკვეთის საკუთრების დაზიანება, ან განადგურება, ჩაითვლება კონტრაქტის პირობების დარღვევად კონტრაქტორის მხრიდან და აძლევს დამკვეთს კონტრაქტის გაუქმების უფლებას.

10. წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების შესრულების კონტროლი

10.1 შრომის დაცვის, საწარმოო და სახანძრო უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებენ:

10.1.1 კონტრაქტორის მხრიდან: კონტრაქტორი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, სამუშაოს პასუხისმგებელი პირები, შრომის დაცვის სპეციალისტები.

10.1.2 დამკვეთის მხრიდან: პასუხისმგებელი მენეჯერები, იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, სადაც ტარდება სამუშაოები, შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტები.

10.1.3 დამკვეთის ნებისმიერ თანამშრომელს აქვს უფლება და ვალდებულება განაცხადოს სიტუაციის შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა და ავარია.

10.1.4 ისეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის კონტრაქტორის პერსონალის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, დამკვეთი იტოვებს უფლებას შეაჩეროს სამუშაოები გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებამდე.

11. შეთანხმების ფორმა

შედგენილია	**თარიღი**	**ხელმოწერა**
OSH მენეჯერი		
შეთანხმებულია:		
ტექნიკური დირექტორი		
იურისტი		

12. თანმხლები დოკუმენტები

აღნიშვნა	დასახელება
OHSAS 18001:2007	სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა
8 April 2010. N 2911 – Ic	საქართველოს კანონი ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ
Order N 449	საქართველოს რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ
	საქართველოს კანონი საწარმოო ტრავმების შემთხვევაში კომპანსაციის გაცემის შესახებ
	საქართველოს შრომის კოდექსი

დანართი A.

ანგარიში უსაფრთხოების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება _____ საანგარიშო თვე _____

შესასრულებელი სამუშაოს ტიპი:

❑ სამშენებლო სამუშაო	❑ საკონსულტაციო მომსახურება	❑ სარემონტო სამონტაჟო სამუშაო	❑ წარმოების/ ❑ ტერიტორიის დასუფთავება
❑ დაცვის საქმიანობა	❑ სერვისული სამუშაოები	❑ სხვა:	

პერსონალის რაოდენობა	გამომუშავებული კაც/სთ-ების რაოდენობა	შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევების რაოდენობა და მოკლე აღწერილობა	შრომისუუნაროობის გამო დაკარგული კალენდარული დღეების რაოდენობა	სამედიცინო დახმარების გამოყენების შემთხვევების რაოდენობა და მოკლე აღწერა (შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე)

დანართი B.

განაცხადი კონტრაქტორის დაშვებაზე

ორგანიზაციის დირექტორს / / _____

შესაბამისად ხელშეკრულებისა _____ _ დან _____,
(კონტრაქტის დასახელება) **(თარიღი)**
კომპანია _____
(კომპანიის დასახელება)
ახორციელებს სამუშაოებს თქვენს ტერიტორიაზე. ამის გამო, გთხოვთ, უზრუნველგვყოთ ტერიტორიაზე შესვლის საშვით ქვემოთ ჩამოთვლილი პერსონალისათვის.

№	გვარი, სახელი, მამის სახელი (სრულად)	დაბადების თარიღი	პროფესია	აღნიშვნა ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე	საშვის მოქმედების ვადა

მე გაცნობილი ვარ წინამდებარე დოკუმენტში დამკვეთის ტერიტორიაზე კონტრაქტორის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ჩემი კომპანიის სახით და დამკვეთის ტერიტორიაზე მომუშავე ჩემი პერსონალის სახელით ვალდებულებას ვიღებ, რომ შესრულდება ყველა ეს მოთხოვნა. მითითებული წესების და მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ჩემი თანამშრომელების საქმიანობაზე. ასევე, კომპანია იღებს პასუხისმგებლობას ელექტრონული საშვების მოვლასა და დაბრუნებაზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ და სამუშაოდან გათავისუფლების, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში დროულად ინფორმაციის მიწოდებაზე. მითითებული თანამშრომელები შეასრულებენ სამუშაოებს სპეციალობის შესაბამისად და წარმოადგენენ კვალიფიკაციის და სპეციალობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ორგანიზაციის
ხელმძღვანელი

_____	_____	_____
ხელმოწერა	გ.ს.მ	თარიღი

შეთანხმებულია:
პასუხისმგებელი მენეჯერი

_____	_____	_____
ხელმოწერა	გ.ს.მ	თარიღი

შენიშვნა: ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ აღნიშვნა კეთდება დამკვეთის შრომის დაცვის თანამშრომელის მიერ. ითანხმებს დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერი, რომელიც კურირებს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებას.

დანართი C

კომპანიის ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარების გეგმა

დოკუმენტის ხოძერი	
შედგენის თარიღი	
კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება	
კონტრაქტორის პასუხისმგებელი მენეჯერი	
საკონტაქტო ტელეფონი	
დამკვეთის პასუხისმგებელი მენეჯერი	
საკონტაქტო ტელეფონი	
შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური	
საკონტაქტო ტელეფონი	
განყოფილების უფროსი	
საკონტაქტო ტელეფონი	
სამუშაოს დაწყების დრო	
სამუშაოს დასრულების დრო	
სამუშაოს მოკლე აღწერა სქემა ტერიტორიისა, სადაც მიმდინარეობს სამუშაო	

პირობითი აღნიშვნები

A	**ტანსაცმლის გამოსაცვლელი ადგილი**
B	**ინსტრუმენტების/ხელსაწყოების შესანახი ადგილი**
C	**სანიტარულ-სოციალური სათავსოები**
D	**ქსელში ჩართვის ადგილი ☐220V / ☐380V** **მოთხოვნილი დატვირთვა _____**
E	**ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განლაგების ადგილი**
F	**მასალების გადმოტვირთვის ადგილი**
G	**მასალების შესანახი ადგილი**
H	**ნარჩენების შესანახი ადგილი**
I	**აფთიაქი**
J	**ტექნიკის სადგომი ადგილი**
K	**ჩასატარებელი სამუშაოების ადგილის მარშრუტი**

L	მოსაწევი ადგილი
M	ვაგონების განლაგების ადგილი
N	პერსონალის დაშვების ტერიტორიის საზღვრები

<u>აუცილებელი საკონტაქტო პირები</u>

დანართი D

F-SOP-004-005D-01

შესასრულებელი სამუშაოების ზოგადი რისკების შეფასება

! სრულდება კონტრაქტორის პასუხისმგებელი მენეჯერის მიერ სამუშაოების დაწყებამდე

რისკის დონე / საფრთხეები	არა	დაბალი	საშუალო	მაღალი	კონტროლის არსებული ზომები	შემდგომი ქმედებები	
						დიახ	არა
ჩაკეტილ სივრცეში მუშაობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
მილგაყვანილობების გახსნა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ღია ორმოებთან მუშაობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
მისადგმელი კიბეებით მუშაობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ხმაურის დონის გადაჭარბება	☐	☐	☐	☐		☐	☐
ქიმიური დამწვრობის ალბათობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ორიექტების ვარდნის ალბათობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ტვირთების ხელით აწევა-გადატანა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ქიმიკატების გამოყენება	☐	☐	☐	☐		☐	☐
ტვირთამწე მექანიზმები	☐	☐	☐	☐		☐	☐
2 მ-ზე მაღლა მუშაობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
სრიალა ზედაპირები	☐	☐	☐	☐		☐	☐
მბრუნავი დანადგარები	☐	☐	☐	☐		☐	☐
იატაკის მრუდე	☐	☐	☐	☐		☐	☐

ზედაპირი							
ელექტროხელსაწყოების გამოყენება	☐	☐	☐	☐		☐	☐
სამუშაოები ცეცხლთან	☐	☐	☐	☐		☐	☐
მიწის სამუშაოები	☐	☐	☐	☐		☐	☐
სახურავზე მუშაობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
ბასრი მასალები	☐	☐	☐	☐		☐	☐
გაძნელებული მისაწვდომობა	☐	☐	☐	☐		☐	☐
სატრანსპორტო საშუალებები	☐	☐	☐	☐		☐	☐
კლიმატური პირობები	☐	☐	☐	☐		☐	☐
გადაცხელება/ გადაციება	☐	☐	☐	☐		☐	☐
მესამე პირისათვის ზიანის მიყენება	☐	☐	☐	☐		☐	☐
რისკი მესამე პირიდან	☐	☐	☐	☐		☐	☐
და სხვა	☐	☐	☐	☐		☐	☐
და სხვა	☐	☐	☐	☐		☐	☐

გაანალიზეთ შესასრულებელი სამუშაო. მონიშნე ჯვრებით (X) საშიშროების შესაბამისი დონეები («არა», «დაბალი», «საშუალო», «მაღალი»). გაითვალისწინეთ საშიშროების დადგომის ალბათობა, შედეგის სერიოზულობა და არსებული კონტროლის ზომები. დაბალი რისკის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი ღონისძიების აუცილებლობა. ეს ღონისძიება უნდა იქნეს ნაჩვენები.
თუ თქვენ შეაფასეთ რისკი, როგორც «საშუალო», ქმედებების განხორციელება აუცილებელია.
«მაღალი» რისკის შემთხვევაში ღონისძიებები უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

რისკის კონტროლისათვის აუცილებელი შემდგომი ქმედებები

აღწერა:	შემსრულებელი:

ქმედებების თანმიმდევრობა / სამუშაოს მეთოდი

სამუშაო	აღწერა	თარიღი	პ/პირი / საკონტაქტო ინფორმაცია

უჩვენეთ, როგორ უნდა მოხდეს ზონაში უსაფრთხო შესვლა და გამოსვლა:

ხომ არ გადაეცემა სამუშაოები სუბ-კონტრაქტორს? თუ კი, ჩამოთვალეთ: (აღწერეთ სამუშაოს სახეობები და ჩამოთვალეთ ისინი)	☐
აუცილებელია, თუ არა ნებართვის გაფორმება? თუ კი, უჩვენეთ რომელის:	☐
მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა სიმაღლეზე? თუ კი, იყენებთ, თუ არა თქვენ მუშაობისას: კიბეს გადასატან ამწეს სხვა საშუალებებს	☐ ☐ ☐ ☐ ☐
აუცილებელია, თუ არა მომუშავეთა ვარდნისაგან დაცვა? თუ კი, ექნებათ, თუ არა მოაჯირი (ბარიერი) უსაფრთხოების ქამარი სხვა საშუალებები	☐ ☐ ☐ ☐
მოიტანთ, თუ არა სპეციალურ მოწყობილობებს საწარმოში? თუ კი: უჩვენეთ დანადგარის ტიპი: წარმოებაში ყოფნის დრო: [დაწყება-დამთავრების თარიღი]	☐
აუცილებელია, თუ არა პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით? თუ კი, ჩამოთვლილთაგან რა გადაეცემათ: ჩაფხუტი ყურსაცვამი სპეც-ფეხსაცმელი დამცავი სათვალე/ნიღაბი დაცვის სხვა საშუალება	☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐
არსებობს აუცილებლობა მოსახლეობის, პერსონალის, ან სხვათა დაცვის? თუ კი, რა მეთოდები იქნება გამოყენებული: მყარი ბარიერები ლენტით შემოსაზღვრა უსაფრთხოების გვირაბი ეკრანი, შედუღების სამუშაოებისთვის ადგილის შემოსაზღვრა გამაფრთხილებელი ნიშნები შეღწევის შემოსაზღვრა ლუკების დასახური საშუალებები სხვა მოწყობილობები	☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐
აუცილებელია, თუ არა დანადგარების დაცვა? დახურვით ზონის ეკრანებით შემოზღუდვით	☐ ☐ ☐

პლასტიკური კონტეინერების გამოყენებით მუშაობის პროცესში დასუფთავების განხორციელებით მასალების მინიმალური რაოდენობის შენახვით სამუშაო ადგილებზე სამუშაოს ჩატარების ადგილის უსაფრთხოდ და სუფთად შენარჩუნებით სამუშაოს ჩატარების დროს, სამუშაოს დასრულებისას მისი სუფთა მდგომარეობაში ჩაბარებით? დაცვის სხვა საშუალებებით	☐ ☐ ☐ ☐ ☐
აუცილებლად გჭირდებათ ელექტროკვება? თუ კი, მიუთითეთ ძაბვა: 220B, 380B	☐ ☐ ☐
გჭირდებათ ელექტროკვების იზოლაცია? ვინ გასცემს ნებართვას სამუშაოზე დაშვებისათვის? ვინ შეასრულებს იზოლაციას?	☐
აუცილებელია, თუ არა იზოლაციის ხელით შესრულება? ვინ გასცემს ნებართვას სამუშაოზე დაშვებისათვის? ვინ შეასრულებს იზოლაციას?	☐

კონტროლი ნარჩენების მართვასა და განლაგებაზე

აღწერა:	ნარჩენის წარმოქმნის ადგილი 2. შეგროვების და განაწილების მეთოდი 3. პასუხისმგებელი პირი შეგროვებაზე, ნარჩენების დროებით შენახვასა და უტილიზაციაზე 4. გამოძახების სიხშირე 5. ნარჩენების უტილიზაციის კონტრაქტის ასლი

ნარჩენების ტიპები და მათი შეგროვების მეთოდები

ხის ნარჩენების კონტეინერი	☐
სამშენებლო ნარჩენების კონტეინერი	☐
საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერი	☐
მეტალური ნარჩენების კონტეინერი	☐
სხვა	☐
თუ აღნიშნავთ "სხვას", დააკონკრეტეთ:	

დადასტურება:

მე გავეცანი იმ მოთხოვნებს, რომელიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში. ჩემი კომპანიის და თქვენს ტერიტორიაზე მომუშავე პერონალის სახელით ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ეს მოთხოვნები შესრულდება. მე გააზრებული მაქვს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს კონტრაქტის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და დამკვეთის ტერიტორიიდან ჩემი ორგანიზაციის გასვლას.

კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება: _____ თარიღი: _____

კონტრაქტორი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი და ხელმოწერა: _____

კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომელები:

_____
_____
_____

_____
_____
_____

_____
_____
_____